

თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნებისათვის სასრული
პოზიციის ავტომატების გამოყენებით
(ძველი ქართული ენა)

ნინო დონაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო დონაძე

2016 წელი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით იმ პროგრამული სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს ბუნებრივ ენაზე ჩაწერილი ტექსტების მორფოლოგიურ ანალიზს, კერძოდ, ძველი ქართული ენის თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების მორფოლოგიურ გარჩევას. კვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან. თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა განხილვა და შესაძლო კანონზომიერებების გამოვლენა ემყარება ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ.თოფურიას, ი. იმნაიშვილის, რ. სალინაძის, ზ. სარჯველაძის და სხვათა შრომებს.

მორფოლოგიის, კერძოდ, მისი შემადგენელი ნაწილის არსებითი (თანხმოვანფუძიანი) სახელის მიმოხილვა, კარგად გამოკვლეული საკითხია; ზუსტად ამ საკითხს მოიცავს ჩვენი ნაშრომის თეორიული, ნაწილი კვლევის მიზანს და აქტუალურობას სწორედ ამ თეორიული მასალის საფუძველზე შექმნილი პროგრამული სისტემა ქმნის. კვლევა სიახლეს წარმოადგენს ძველი ქართული ენის გრამატიკის კომპიუტერული დამუშავების თვალსაზრისით.

პრაქტიკულ ნაწილში განხილულია თეორიული ცოდნის რეალიზაცია კომპიუტერის გამოყენებით.

ნაშრომში განხილულია:

- ა) საკვლევი საკითხის ისტორიული მიმოხილვა;
- ბ) არსებითი სახელის სტრუქტურა ძველ ქართულში;
- გ) ძველი ქართული თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ანალიზი კატეგორიების მიხედვით;
- დ) სასრული პოზიციის გარდამქმნელის მნიშვნელობა და სტრუქტურა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მორფოლოგია, თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელი, სასრული პოზიციის გარდამქმნელი, სლოტი, ლემა, გენერირება.